ოქმი:**ო63.6322231001**
თარიღი:**19/08/2022**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 36

ქ. სამტრედია. 17 აგვისტო, 2022 წელი.

2022 წლის 17 აგვისტოს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი.

სხდომას ასევე ესწრებოდა ა.(ა).ი.პ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელი, გიორგი მელქაძე.

სხდომის თავმჯდომარემ, ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ -ს, 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N გ-63. 63213544 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე’’.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

2. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის“, 2022 წლის ხარჯის

დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №გ.63.63213543 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

3. ,,შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს, მომსახურების ტარიფების დამტკიცების 2022 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135410 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

4. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის, 2022 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“, 2021 წლის 20 დეკემბრის

   N გ-63.632135418 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

5. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,სათნოების სახლი“–ს. 2022 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N გ-63.632135427 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

6. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, "სახლი თანადგომა"_ს, 2022 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135526 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

7. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის, ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს, 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №გ-63.632135432 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

8. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

9. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი 26 პროექტის მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

10. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე .

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

11. სხვადასხვა.

კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ,,მინდა მადლიერების გრძნობა გამოვხატო ქალბატონების, ნათია პაპავასა და ლიზა კრავეიშვილის, ასევე ბატონ გიორგი ლეჟავას მიმართ, რომლებიც საკრებულოს სახელით, იმყოფებოდნენ შეხვედრაზე ჩვენი მუნიციპალიტეტის მკვიდრთან, ფსიქოთერაპევტთან, ქალბატონ ლელა სტურუასთან. როგორც ცნობილია შეხვედრა იყო ძალიან საინტერესო და შინაარსიანი.

ამავ დროს, ბატონო კოლეგებო, თქვენ წაიკითხავდით, წინა საკრებულოს სხდომის ანალიზს, გაზეთ ,,სამტრედიის მაცნეში'', სათაურით ,,ერთი საათით საკრებულოში'', სადაც ხაზგასმით მოვნიშნე ერთი ჩანაწერი. კერძოდ, ,,საკრებულოზე დაფიქსირდა საკრებულოს წევრთა დაგვიანებითი მოსვლის ფაქტები''. ყოველთვის, ჩემი უმორჩილესი თხოვნაა, გამოიჩინოთ სრული პასუხისმგებლობა და თითქოს ეს მცირედი დარღვევაც კი არ გახდეს სხვებისათვის სასაუბრო თემა.

სასიხარულო ინფორმაცია მოგვაწოდა, ბატონმა ირაკლი მელაშვილმა. კერძოდ, ბულგარეთში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი, სადაც ჩვენი მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ,,ფალავანი''-ს მოჭიდავეები იღებდნენ მონაწილეობას. მესამე, საპრიზო ადგილი, დაიკავა კლუბის წევრმა, ოთარ

ადეიშვილმა. ვულოცავთ პირად მწვრთნელს და თავად გამარჯვებულ, მიღწევებს და ვუსურვებთ კიდევ უფრო მაღალი მწვერვალები დაეპყროთ.

ახალ კი გავეცნოთ ბიუროს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 12 აგვისტოს** N 62-622222485, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება''-ს, 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, ბიუჯეტი გაიზარდა და მოწესრიგდა 26.00 ათ.ლარით. 2022 წლის შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 486.00 ათ.ლარით. ხორციელდება 26.00 ათ.ლარის გადანაწილება შემდეგ მუხლებში: შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების მუხლში თანხა იზრდება 12.50 ათ.ლარით, ხოლო ტრანსპორტის მიმდინარე რემონტის ხარჯის მუხლში 2.40 ათ.ლარით. არაფინანსური აქტივების მუხლში, კერძოდ სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული (ხის მასალის შეძენა) თანხა იზრდება 2.70 ათ.ლარით, 7.00 ათ.ლარით სატრანსპორტო საშუალების შეძენის ხარჯის მუხლი (სხვა სატრანსპორტო საშუალებები), ხოლო საინფორმაციო, კომპიუტერული, სატელეკომუნიკაციო ხარჯის მუხლში, თანხა იზრდება 1.40 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 12 აგვისტოს** N:62-622222486, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,გომის თემის სამუსიკო სკოლა''-ს, 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, არაფინანსური აქტივის მუხლში, (არასაცხოვრებელი შენობები), თანხა მცირდება 1.65 ათ.ლარით, მუსიკალური ინსტრუმენტის შეძენის ხარჯის მუხლში 0.35 ათ.ლარით და შესაბამისად თანხა იზრდება სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის მუხლში 1.10 ათ.ლარით, ავეჯის შეძენის მუხლში 0.90 ათ.ლარით. მცირდება ოფისის მუხლში სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი 0.05 ათ.ლარით, შენობა-ნაგებობების და მიმდინარე ტერიტორიების რემონტის ხარჯის მუხლში 0.10 ათ.ლარით, სხვა საქონელი და მომსახურების მუხლში, სხვა

დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის თანხა 0.05 ათ.ლარით, სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენის ხარჯის მუხლში 0.10 ათ.ლარით, ელექტრო-ენერგიის ხარჯის მუხლში 0.10 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვა: ვაჟა სტურუა.

ვაჟა სტურუა - პროექტის დანართში მითითებულია ,, **საკუთარი შემოსავლები (სწავლის ქირა)''** მიზანშეწონილად მიმაჩნია შეიცვალოს აღნიშნული ჩანაწერი და მითითებული იქნას ,,სწავლის საფასური''.

მერაბ უღრელიძემ უპასუხა, რომ მსგავსი ჩანაწერი გაკეთებული არის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მითითებით, რომელიც თავად ხელმძღვანელობს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 12 აგვისტოს** N62-622222491, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, შ.პ.ს. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,სპორტული კომპლექსი სამტრედია''-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. იზრდება შემოსავლები ბიუჯეტიდან, ნორჩ ფეხბურთელთა გუნდების სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად და შ.პ.ს. „სპორტული კომპლექსი სამტრედია“-ს ეზოში ბავშვთა გასართობი სივრცის მოწყობასთან დაკავშირებით. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდა 9.20 ათ.ლარით. შესაბამისად ხარჯების ნაწილში კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯის მუხლში თანხა გაიზარდა 5.20 ათ.ლარით, არაფინანსური აქტივის მუხლის თანხა 4.00 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 12 აგვისტოს** N 62-622222467, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის ,,მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2022 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის ღონისძიებათა ხარჯებში შესატან ცვლილებებს. კერძოდ, 1. სოციალური ბიუჯეტი იზრდება 50 000 - ლარით; მათ შორის:

მუხლი 1. მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება - -30 000 ლარით;

მუხლი 17. ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში - 20 000 ლარით;

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 12 აგვისტოს** N62-622222488, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი''-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა იზრდება 46.2 ათ.ლარით, შესაბამისად ხარჯების ნაწილში კვების მუხლის თანხა იზრდება 6.2 ათ.ლარით და არაფინანსური აქტივების მუხლში თანხა იზრდება 40.0 ათ.ლარით (სათნოების სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის).

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 12 აგვისტოს** N62-622222487, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სახლი „თანადგომა"-ს 2022 წლის

სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. 2022 წლის ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა იზრდება 74.5 ათ.ლარით, შესაბამისად ხარჯების ნაწილში თანამდებობრივი სარგოს მუხლში თანხა იზრდება 4.0 ათ.ლარით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების მუხლში 8.7 ათ.ლარით, საოფისე ავეჯის მუხლში 3.4 ათ.ლარით, სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენის მუხლში 4.1 ათ.ლარით, შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯის მუხლში 32.8 ათ.ლარით, კვების ხარჯის მუხლში 17.2 ათ.ლარით, რბილი ინვენტარის უნიფორმების შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯის მუხლში 0.8 ათ.ლარით, არაფინანსური აქტივების ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 3.5 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 12 აგვისტოს** N :62-622222492, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. რაგბის კლუბი „ფენიქსი“-ს 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. 2022 წლის შემოსავლების გეგმა იზრდება 20.00 ათ.ლარით და შემოსავლების გეგმა განისაზღვრება სულ 182.00 ათ.ლარით. შესაბამისად, ხარჯების ნაწილში სუბსიდიის გეგმაში, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაში, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების მუხლში თანხა იზრდება 18.70 ათ.ლარით და ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯის მუხლში 1.30 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: ნუგზარ ჯამბურიამ, ნათია პაპავამ, ვალერიანე ფოცხვერიამ, მანანა სირბილაძემ.

ნუგზარ ჯამბურია - მინდა ავღნიშო შემდეგი ფაქტი. ა.(ა).ი.პ. რაგბის კლუბი „ფენიქსი“-ს ხელმძღვანელს, მერის მისამართით აქვს გაკეთებული მიმართვა, სადაც მერის ტიტულად წერია ,,ქალაქ სამტრედიის მერს, ბატონ დავით ბახტაძეს''. ეს ჩანაწერი არის არასწორი, იმდენად რამდენადაც მერის ასეთი ტიტული არ არსებობს, შესაბამისად მიმართვაში არასწორი ადრესატია მითითებული. აღნიშნული საკითხი ჯერ განაწილდა, შემდეგ გაიარა კომისია, დღეს განვიხილავთ ბიუროს სხდომაზე და არ მინდა, რომ

ეს საკითხი ისე დარჩეს, თითქოს ჩვენ ეს ვერ შევნიშნეთ. ვთვლი, რომ დოკუმენტი არასწორია. თუ ბიუროს წევრების გადაწყვეტილება იქნება, შეჩერდეს საკითხის განხილვა და მოხდეს მისი სამართლებრივი გასწორება. ის განხილული იქნება საკრებულოს უახლოეს სხდომაზე, 5 სექტემბერს. ან მოიძებნოს ფორმა, რომელიც გამოასწორებს დაშვებულ შეცდომას. ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად წარმოებული საქმე, უნდა იყოს კანონმდებლობის შესაბამისი.

ნათია პაპავა - მივცეთ დავალება აპარატს, მოახდინოს კორექტირება და შესწორება. გაფრთხილებული იქნას ა.(ა).ი.პ. რაგბის კლუბი „ფენიქსი“-ს ხელმძღვანელი, რათა შემდგომში არ განახორციელოს მსგავსი შეცდომა.

ვალერიანე ფოცხვერია - დარწმუნებული ვარ, ეს არის გრამატიკული, ელემენტარული შეცდომა, რომლის გამოსწორებაც შესაძლებელია.

მანანა სირბილაძე - მოხდეს აქვე ჩასწორება და შესაბამისი ჩანაწერის დაფიქსირება, როგორც კომისიის ასევე ბიუროს ოქმებში.

ნუგზარ ჯამბურია - ასევე მინდა ყურადღება მიაქციოთ განკარგულების პროექტის N5 დანართს, სადაც მითითებულია **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,რაგბის კლუბი ,,ფენიქსი”-ს, ხელშეკრულებით აყვანილ სპორტსმენთა ანაზღაურება. კერძოდ,**

1. **მოთამაშე (მორაგბე) - 6 ერთეული.**
2. **მოთამაშე (მორაგბე) - 2 ერთეული.**
3. **მოთამაშე (მორაგბე) - 1 ერთეული.**
4. **მოთამაშე (მორაგბე) - 15 ერთეული.**

სულ 24 ერთეული

არ არის განსაზღვრული მათი ფუნქცია და მკითხველთათვის უცნობია, რა განსხვავებაა ამ მორაგბეებს შორის.

მერაბ უღრელიძემ უპასუხა, რომ ხელშერკულებებით არის გაწერილი მათი ფუნქციური დატვირთვა, თუმცა დანართში მისი ასახვა არ არის განსაზღვრული.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 12 აგვისტოს** N62-622222476, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, „სამტრედიის

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N20 დადგენილებაში შესატან ცვლილებებს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ “საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებაში შეტანილი იქნა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2022 წლის 5 აგვისტოს N1398 განკარგულებით, რომლის თანახმად სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები განისაზღვრა 6,789.1 ათ. ლარის ოდენობით, მათ შორის მთავრობის განკარგულებით - 5720.1 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით თანადაფინანსება - 1,068.9 ათ. ლარის ოდენობით. (სულ გაიზარდა 2,563.6 ათ. ლარის ოდენობით, მათ შორის მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხის ოდენობა გაიზარდა - 1,667.1 ათ. ლარით, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება - 896.5 ათ. ლარით.)

სამტრედიის მუნიციპალიტეტისათვის 2022 წელს გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები გაიზარდა 1,478.9 ათ. ლარით და შეადგენს 16 835,0 ათას ლარს. მათ შორის:

- დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი გაიზარდა 1,043.9 ათ. ლარით და შეადგენს 13 800,0 ათ. ლარს.
- ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებელი გაიზარდა 435.0 ათ. ლარით და შეადგენს 3 035,0 ათ. ლარს.

ზემოთ აღნიშნული (1,478.9 ათ. ლარი) განაწილდეს:

- **(კოდი 04 04) სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობის** არაფინანსური აქტივების გეგმა გაიზარდოს -200,0 ათ. ლარით;
- **(კოდი 03 02) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების** გეგმა გაიზარდოს სულ 26,0 ათ. ლარით (მ/შ სუბსიდიის 14,9 ათ. ლარით და არაფინანსური - 11,1 ათ. ლარით);
- **(კოდი 06 02 01) ა.(ა).ი.პ. „სახლი თანადგომა“-ს** სუბსიდიის გეგმა გაიზარდოს 52.5 ათ. ლარით და არაფინანსური აქტივების გეგმა - 3,5 ათ. ლარით;
- **(კოდი 06 02 02) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი“-**ს გეგმა გაიზარდოს სულ 46,2 ათ. ლარით (მ/შ სუბსიდია -6,2 ათ. ლარით და არაფინანსური - 40,0 ათ. ლარით);
- **(კოდი 06 02 04) სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის**

ერთჯერადი ფინანსური დახმარებების სოციალური უზრუნველყოფის გეგმა გაიზარდოს -50,0 ათ. ლარით;

- **(კოდი 05 05 02) კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსების კულტურული ღონისძიების** გეგმა გაიზარდოს - 35,0 ათ. ლარით;

- **(კოდი 05 01 01) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის** კულტურული ღონისძიების გეგმა გაიზარდოს - 5,0 ათ. ლარით;

- **(კოდი 05 01 02 05) შ.პ.ს. "სპორტული კომპლექსი სამტრედია"** სუბსიდიის გეგმა გაიზარდოს **-** 9,2 ათ. ლარით;

- **(კოდი 02 02 01) ბინათმშენებლობის** სხვა ხარჯების გეგმა გაიზარდოს 35,0 ათ. ლარით (რუსთაველის ქ. ბინის გადახაურვა);

- **(კოდი 02 03 03) სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების გეგმა გაიზარდოს - 20,0 ათ. ლარით (ატრაქციონისთვის ბეტონის მოწყობა);

- **(კოდი 03 03) დასუფთავების** არაფინანსური აქტივების გეგმა - 100,0 ათ. ლარით; (ურნების შეძენა).

- **(კოდი 02 01) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების გეგმა გაიზარდოს (საქართველოს მთავრობის 2022 წლის 5 აგვისტოს N1398 განკარგულების თანადაფინსებისთვის) -896,5 ათ. ლარით.

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულების თანახმად სამტრედიის მუნიციპალიტეტს საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად ხელშეკრულებით გამოყოფილი თანხის ოდენობა განესაზღვრა 450.0 ათ. ლარის ოდენობით. შესაბამისად გაიზარდოს **კოდი 04 02 ზოგადი განათლების ხელშეწყობის** არაფინანსური აქტივების გეგმა 450.0 ათ. ლარით.

შემცირდა სულ - 494.9 ათ. ლარით:

- **(კოდი 02 02 01) ბინათმშენებლობის სხვა ხარჯების გეგმა შემცირდა 30,0 ათ. ლარით;**
- **(კოდი 02 02 02) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდა 13,1 ათ. ლარით;

- **(კოდი 02 03 03) სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს 9,0 ათ. ლარით და ასევე კაპიტალური გრანტის გეგმა - 162,8 ათ. ლარით;

- **(კოდი 05 01 01) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდა - 250,0 ათ. ლარით;

- **(კოდი 02 03 05) ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაციის** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდა - 30,0 ათ. ლარით.

შესაბამისად გაიზარდოს და მოწესრიგდეს - 494,9 ათ. ლარით:

- **(კოდი 02 01) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების გეგმა - 456,4 ათ. ლარით;
- **(კოდი 05 01 02 06) ა.(ა).ი.პ. რაგბის კლუბი ფენიქსის** სუბსიდიის გეგმა - 20,0 ათ. ლარით,
- **(კოდი 06 02 01) ა.(ა).ი.პ. „სახლი თანადგომა“- სუბსიდიის გეგმა გაიზარდოს 18,5 ათ. ლარით.**

მუხლობრივი ცვლილება:

- **(კოდი 02 01) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** საქონელი და მომსახურების გეგმა შემცირდეს 93,7 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის არაფინანსური აქტივების გეგმა 90,1 ათ. ლარით, ხოლო სხვა ხარჯების გეგმა - 3,6 ათ. ლარით ;
- **(კოდი 02 01) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა შემცირდეს 2,5 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს **კოდი 02 02 01 ბინათმშენებლობის** სხვა კაპიტალური ხარჯების გეგმა 2,5 ათ. ლარით;

- **(კოდი 02 04) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს მთავრობით - 164.1 ათ. ლარით, ადგილობრივით - 18.0 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის საქონელი და მომსახურების გეგმა მთავრობით - 164.1 ათ. ლარით, ხოლო ადგილობრივით - 18,0 ათ. ლარით.

(კოდი 02 03 03) სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს 2,5 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის საქონელი და მომსახურების გეგმა.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), საკითხი შევიდა

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 12 აგვისტოს** N:62-622222493, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ,სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი 26 პროექტის მოწონების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის X საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 12 აგვისტოს** N62-6222224119, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხს. ცვლილებები გამოწვეულია იმ გარემოებებით, რომ:

1.1. ადმინისტრაციულ სამსახურში შემცირდება მედიასთან ურთიერთობის საკითხებში პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ვაკანტური საშტატო ერთეული.

1.2. ზედამხედველობის სამსახურის სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განყოფილებას დაემატება სამშენებლო ზედამხედველობის საკითხებში მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეული.

1.3.1. ზედამხედველობის სამსახურში შემცირდება სანებართვო პირობების დაცვის და მოქალაქეთა უფლებების დაცვის ზედამხედველობის განყოფილების დასუფთავების ზედამხედველობის საკითხებში მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური საშტატო ერთეული და სანებართვო პირობების დაცვის და მოქალაქეთა უფლებების დაცვის ზედამხედველობის საკითხებში პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ვაკანტური საშტატო ერთეული.

1.3.2. ზედამხედველობის სამსახურის სანებართვო პირობების დაცვის და მოქალაქეთა უფლებების დაცვის ზედამხედველობის განყოფილების

დასუფთავების ზედამხედველობის საკითხებში მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ორი საშტატო ერთეული გარდაიქმნება დასუფთავების, სანებართვო პირობების დაცვის და მოქალაქეთა უფლებების დაცვის ზედამხედველობის საკითხებში მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი ერთეულებად.

1.4. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილებას დაემატება შესყიდვების საკითხებში მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ორი საშტატო ერთეული.

1.5. ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურში შემცირდება ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვის განყოფილების ეკონომიკისა და სტატისტიკის საკითხებში მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეული.

1.6. ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვის განყოფილების ქონების მართვის საკითხებში მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეული გარდაიქმნება ქონების მართვის, ეკონომიკისა და სტატისტიკის საკითხებში მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეულად.

1.7. ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის და მშენებლობის განყოფილებას დაემატოს სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის საკითხებში მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეული.

1.8. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების ფინანსური ანგარიშგების საკითხებში პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ვაკანტური საშტატო ერთეული გარდაიქმნება ფინანსური ანგარიშგების საკითხებში მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეულად.

2.1. შემცირდება შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ორი მძღოლის საშტატო ერთეული. 2.2. შეიქმნება შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის - სამეურნეო-ტექნიკურ საკითხებში უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეული.

2.3. შეიქმნება შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სტატისტიკის საკითხებში სპეციალისტის საშტატო ერთეული.

2.4. შემცირდება შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ოპერატორის საშტატო ერთეული.

2.5. შეიქმნება შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის - პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის დამუშავების

საკითხებში საშტატო ერთეული.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ -ს, 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N გ-63. 63213544 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

2. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის“, 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №გ.63.63213543 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

3. ,,შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს, მომსახურების ტარიფების დამტკიცების 2022 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135410 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

4. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის, 2022 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“, 2021 წლის 20 დეკემბრის

N გ-63.632135418 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

5. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,სათნოების სახლი"–ს. 2022 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N გ-63.632135427 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

6. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, "სახლი თანადგომა"_ს, 2022 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135526 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

7. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის, ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს, 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №გ-63.632135432 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

8. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

9. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი 26 პროექტის მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

10. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე .

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

11. სხვადასხვა.

სხდომის დასასრულს, საკრებულოს თავმჯდომარემ, კიდევ ერთხელ შეახსენა კომისიის თავმჯდომარეებს, რომ საოქმო ჩანაწერით განსაზღვრონ მათი არყოფნის შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის ფუნქციის შემსრულებელი წევრები. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონის შესაბამისად, ბიუროს სხდომას დაესწრება კომისიის უხუცესი წევრი.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართება 2022 წლის 18 აგვისტოს, 11^{00} საათზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი